№ 194

ოთხშაბათი, 6 სექტემბერი, 1900 წ.

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. | კ. | თვე | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 194

ოთხშაბათი, 6 სექტემბერი, 1900 წ.

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.


**ნატალია დავითის ასული მამაცაშვილისა** შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 3 სექტემბერს, ნაშუადღევის ორს საათზედ გარდაიცვალა მეუღლე მისი

## გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი.

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზედ იქნება გარდახდილი (ალექსანდრეს ქუჩა, № 27). (2—171—2)

**ქვრივი ნატალია დავითის ასული მამაცაშვილისა** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებულის

## გენერალ-ლეიტენანტის კონსტანტინე ქრისტეფორეს ძის მამაცაშვილის

გვამის გასვენება კუკიის ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში მოხდება ხუთშაბათს, 7 სექტემბერს, დილის 10 საათზედ. განსვენებულის გვამი დაკრძალული იქნება დიდუბის ეკლესიის გალავანში. (1—176—1)


## ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორი

უმორჩილესად სთხოვს მაისის თვეში მიღებულ მოსწავლეთა დედ-მამასა და მზრუნველთ **შემოიტანონ ნახევარის წლის სწავლის ფასი** 8 სექტემბრამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, წესდების მე-14 § ის თანახმად, **მოსწავლენი სასწავლებელში ჩარიცხულად არ იქმნებიან ჩათვლილნი.** (4—6.—1)

## ქუთაისში

სავაჭრო სახლი

## „ი. გოკიელოვის შვილები“

რადგანაც წელს **მოწაფეთათვის რვეულებს ვამზადებთ ქუთაისშივე** და შემზადება ნაკლებ ფასად გვიჯდება, ამიტომაც **გავაუმჯობესეთ ხარისხი რვეულის ქაღალდისა,** რომლის მიუხედავად ფასი იგივეა. მსურველთ შეუძლიანთ შეკვეთა ყოველგვარის ხაზებისა და გვექმნება უკლებლივ ყოველნაირი რვეულები. (10—164—4)

## სკოლა და პანსიონი

## ა. ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის, რეალურ, კომერციულ და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის. ყმაწვილების მიღება—30 აგვისტოდგან.

ადრესი: ოლგინას ქუჩა (Ольгинская), სახლი დრობიშევისა, ზემმელის აფთიაქის მახლობლად. (5—6.—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**ვ. გ. წერეთელი**—შინაგანი და ბავშვებისა—$11^1/_2$—$12^1/_2$ ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკოვიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. ბებთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$11^1/_2$—$12^1/_2$.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათამდე.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნვით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—Д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ვისაც რაიმე საქმე აქვს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ნაწარმოებთა ანუ ბუნებით სიმდიდრის შესახებ **ქართველთა მემამულეთაგანს,** ვთხოვთ მიჰმართონ **რაფაელ ისარლოვს,** ქართველთა მემამულეთა წარმომადგენელს პარიჟის გამოფენაზედ.

Raphaël Isarloff Paris, rue des Fcoles, 40. (16—6.—13)

## კანტორა

**ნოტარიუსის ილია ივანეს ძის წინამძღვრიშვილისა** ღიაა დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევის სამ საათამდე. კანტორა იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, მეორე სართულში, სახლი № 2. (15—10)


## ახალი ამბავი

*** სამხედრო სამინისტროსთან შემდგარმა კომისიამ შეიმუშავა პროექტი ახალის სკოლებისა კადეტის კორპუსთა ხუთის კლასის კურსით, რომელშიაც მხოლოდ თავად-აზნაურთა შვილებს შეეძლებათ სწავლა. ამ სკოლებში, სხვათა შორის, ასწავლიან აგრეთვე ორს ახალს ენას სრულიად ახალის აჩქარებულის მეტოდით. აღნიშნული სკოლები ქალაქ-გარეთ იქმნება გახსნილი. ხარჯი სკოლების შესანახად, სადაც-კი გაიხსნება ამ ტიპის სკოლა, ნახევარი თავად-აზნაურობას გარდაჰხდება, ნახევარს ხაზინა გაიღებს. ეს სკოლები სამხედრო სასწავლებლების მთავარ სამმართველოს გამგეობის ქვეშ იქმნება.

*** „მთავრობის კანონდებათა და განკარგულებათა № 102-ში“ გამოქვეყნებულია ახალი კანონი, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლას ეხება.

*** ვინც რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიჰმართავს სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათათვის სესხის მისაღებად, მათ მარტო ამ სესხის შესახებ არსებულ კანონით არ უნდა იხელმძღვანელონ და უნდა მიჰმართონ აგრეთვე სასოფლო ეკონომიის განყოფილების მიერ შედგენილს ინსტრუქციას აღნიშნულ სესხის შესახებ, რომელშიაც დაწვრილებით არის განმარტებული თითოეული დებულება ამ კანონისა. ყველაზედ მეტის ყურადღების ღირსნი არიან ამათგან შემდეგი დებულებანი: 1) სესხი, რომელიც ბაღოსნობისათვის მიეცემა, არ შეიძლება სავაჭრო, საბაღოსნო და ხეხილის სანერგეებს მოჰხმარდეს; 2) სასოფლო-სამეურნეო დაწყებულებანი (ერბოსი ყველის გასაწური ქარხანა და სხვა) მხოლოდ იმ ზომისანი უნდა იყვნენ, რასაც სესხის ამღების მამულში მოწეული საქონელი მოითხოვს და დამუშავდება; 3) აღებული სესხით ნასყიდი საუკეთესო ჯიშის საქონელი მამულს არ უნდა მოსცილდეს და არ გაიყიდოს იმ დრომდე, ვიდრე სესხს არ გადიხდის მემამულე; 4) სატყეო-სატეხნიკო წარმოებად, რომელშიაც მემამულეებს სესხი ეძლევა, მიღებულია: ხე-ტყის სახერხი ქარხნები და სხ.

*** უწმიდესის სინოდის განმარტებით, სასულიერო სემინარიების მოწაფეებს ყოფა-ქცევაში ნიშნები იმის და მიხედვით-კი არ უნდა გამოუყვანონ ხოლმე, თუ საშუალო რიცხვი მთლად რას შეადგენს წლის განმავლობაში, არამედ იმას უნდა მიექცეს ყურადღება, წლის დამლევს საზოგადოდ თავი როგორ ეჭირა, რა ზნებრივს მიდრეკილებას იჩენდა.

*** 1901 წლის კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საიუბილეო გამოფენის გამართვაში მონაწილეობის მისაღებად გორის მაზრიდგან ნდობილ ვექილის თანაშემწე თავ. გ. ნ. დიასამიძე, გ. დ. ჟურული და თავ. კ. მ. ამირაჯიბი დაუნიშნავთ.

*** ტფილისის სამხედრო საავადმყოფოში ამ ჟამად კავკასიის მხედრობის მხცოვანს გმირს კვალიაშვილს თურმე სწამლობენ, რომელსაც წელს შეუსრულდა 109 წელიწადი. კვალიაშვილს კავკასიის თითქმის ყველა ომში მიუღია მონაწილეობა და რამდენჯერმე დაჭრილა.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი 9 სექტემბერს პეტერბურგს მიდის, სადაც იგი დანიშნულია თავმჯდომარედ იმ კომისიისა, რომელსაც საშუალო სასწავლებლებში ცვლილებათა შეტანა აქვს დავალებული.

*** სამხედრო საქმეთა ტფილისის ქალაქის საკრებულოს მიერ ამ წელს სამხედრო ბეგრის მოსახდელად 700 მეტი ახალგაზრდაა მოწვეული. ამათგან სამსახურში უნდა გავიდეს 204 კაცი. კენჭის ყრა კვირას, 15 ოქტომბერს, არის დანიშნული. სამხედრო საკრებულოში დანიშნულნი არიან სამხედრო უწყების მხრივ ტფილისის სამხედრო უფროსის თანაშემწე პოდპოლკოვნიკი ჟლენტი, ადმინისტრაციის მხრივ VI ნაწილის ბოქაულის თანაშემწე ბ-ნი დუშინსკი, ქალაქის მკურნალი მეგრელთა რაზმისა ბ-ნი ერმოლაევი.

*** კავკასიის საბეითალო ნაწილის გამგე ბ-ნი რემერი სიღნაღის მაზრასა და ზაქათალის ოლქში წავიდა.

*** ბელგიის უსახელო საზოგადოებას აზრად თურმე აქვს ქალაქის მიერ ქუჩების მოსაკირწლავად ნასესხები 600,000 მან. წვრილ-წვრილად აძლიოს ქალაქს.

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა ცნობილი აღმოსავლეთის მცოდნე და მკვლევარი ბერლინის პროფესორი ბ-ნი როჰრბახი, რომელიც აქედგან სპარსეთში აპირებს წასვლას.

*** დ. ზუგდიდი. ამ ბოლოს დროს ჩვენსკენ ძალიან ხშირად მოდის კოკისპირული წვიმა. წვიმებისა გამო მდინარენი საშინლად წყალ-დიდობენ და ყანებსა და სოფლებს აზარალებენ. სოფლელები დიდს დარდს მისცემიან: მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალს კარგი პირი უჩანდა და ეხლა-კი გვიფუჭდება, შიმშილი მოგველისო.

დაბა ზუგდიდში რამდენმამე სენმა ერთად იჩინა თავი: ციებ-ცხელებამ, წითელამა და მუცელამ და ბავშვებს საშინლად გაავლო მუსრი. მართალია, დ. ზუგდიდში სამაზრო ექიმია, მაგრამ იგი სამსახურისა გამო ვერ შესძლებს ყველას გასწვდეს მაზრაში. ამის გამო მომეტებული ნაწილი ავადმყოფთა ღვთის ანაბარადაა მიგდებული. კარგს იზამდნენ ჩვენი მღვდლები, სოფლის მასწავლებლები და სხვა შეგნებულნი ადამიანნი შეაგონებდნენ სოფლელებს, თუ რაზომ სასარგებლოა იმათთვის სოფლებში პაწია აფთიაქების გახსნა, საკუთარის ექიმ-ფერშლების ყოლა და დროზედ ავადმყოფთათვის წამლების მიშველება, მით უმეტეს რომ სოფლად ასეთის აფთიაქების დახსნა და მკურნალისა ან ფერშლების ყოლა ჩვენს ხალხს ძალიან ძვირად არ დაუჯდებოდა.

*** გუშინ, 5 სექტემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის 1 სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საყურადღებო საქმე განჯის გუბერნიის არეშის მაზრის პოლიციის ბოქაულისა ანტონ ცირულისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ მან შეურაცხება მიაყენა დისტანციის უფროს მილიციის პრაპორშჩიკს გედევანიშვილს სამსახურის ასრულების დროს და სამჯერ შემოჰკრა მათრახი. სამოსამართლო პალატამ, 5 სექტემბერს განიხილა რა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო ბოქაული ანტონ ცირული და მიუსაჯა 7 დღით გაუპტვახტში დაპატიმრება.

*** ტფილისის 1-ლ გილდის ვაჭარმა მინას სულხანიაცმა, რომელიც ნიკოლოზის ქუჩაზედ სცხოვრობს, საკუთარს სახლში, გამოუცხადა პოლიციის მე-9 ნაწილის ბოქაულს, რომ ჩემმა ნოქარმა მკრტიჩ ს-ვმა 3500 მან. წაიღო საკომერციო ბანკში შესატანად და სადღაც დაიმალაო. პოლიცია ს—ვს დაეძებს.

*** ორშაბათს, 4 სექტემბერს, პოლიციის მე-2 ნაწილში, მთაწმინდის ქუჩაზედ მცხოვრებმა ტფილისის მოქალაქემ ბაღდასარ იაკიმის ძე თათოსოვმა განაცხადა, რომ პოლიციის მე-7 ნაწილში გაბრიელოვის სახლში მცხოვრებმა ვილაც ალმას არუთინოვისამ შერჩეულის გასაღებით გააღო ჩემი კამოდი და მოიპარა იქიდგან სხვა-და-სხვა ოქროსა და ვერცხლის ძვირფასი ნივთები, სულ 2448 მან. არუთინოვისა უკვე შეიპყრეს.

## ქალაქის საბჭო

4 სექტემბერი

ორშაბათს, 4 სექტემბერს, ქალაქის საბჭოს პირველი კრება ჰქონდა ამ შემოდგომაზედ. კრება დაიწყო სალამოს 8-ნახევარ საათზედ ქალაქის მოურავის მოადგილის თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო მიწადმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის თანაშემწე ბ-ნი პ. ი. შიმანოვსკი. პირველად საბჭოს განსახილველად გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა წარუდგინა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობა, რომელშიაც, როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, საზოგადოება სთხოვს ქალაქის გამგეობას დაუთმოს მას ალექსანდრეს ბაღი 1901 წელს განზრახულ სამეურნეო გამოფენის გასამართავად. გამგეობა თავისის მხრივ თანახმაა დაეთმოს საზოგადოებას გამოფენისათვის ალექსანდრეს ბაღი. ამ საგანმა დიდი კამათი გამოიწვია ხმოსანთა შორის; კ. მ. ალიხანოვი და სხვანი ამტკიცებდნენ, რომ ალექსანდრეს ბაღი ერთად-ერთი ალაგია ქალაქის მცხოვრებთა სასეირნოდ, ამიტომ კარგი იქმნება გამოფენა მუშტაიდის ბაღსა ან სხვაგან სადმე გაიმართოსო.

მიწად-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულის თანაშემწემ ბ-ნმა პ. ა. შემანოვსკიმ ნათლად დაუმტკიცა ხმოსნებს ალექსანდრეს ბაღის გამოფენისათვის დათმობის უსაჭიროესობა. ბევრის კამათის შემდეგ საბჭომ ხმის უმეტესობით დაამტკიცა გამგეობის დადგენილება.

შემდეგ საბჭომ განიხილა და დაამტკიცა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის დადგენილება ქალაქის ლომბარდის 1899 წლის ანგარიშის შესახებ.

შემდეგ საბჭომ განიხილა პროექტი მომავალ 1901 წ. სატრაქტირო გარდასახადისა. ქალაქის გამგეობამ, განუხილავს-რა ეს პროექტი, დაუდგენია: 1) შემოღებულ იქმნეს 1901 წელს სატრაქტირო გარდასახადი, რომელიც სულ 60,000 მანეთს უდრის; 2) ეთხოვოს ქალაქის საბჭოს ნება დაერთოს გამგეობას შეადგინოს ამ გარდასახადის გამწერი კომისიები იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელთა რიცხვი 20 მეტი იქმნება; 3) დაწესებულ იქმნას გარდასახადის შემოსატან ვადად ნახევარი წელიწადი. ფული წინდაწინვე უნდა შეიტანონ. საბჭომ დაამტკიცა გამგეობის დადგენილება. საბჭოს მოხსენდა აგრეთვე ქალაქის ლომბარდის მომავალ 1901 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა; ამ ხარჯთ-აღრიცხვით სჩანს, რომ მომავალ წელში ლომბარდს შემოსავალი ექმნება 20,322 მან., ხოლო გასავალი 14,670 მან. ე. ი. 1899 წ. გასავალზედ 804 მან., მეტი. საბჭომ შეუცვლელად დაამტკიცა ლომბარდის 1901 წ. შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა.

ორიოდე სხვა საქმის განხილვის შემდეგ საბჭომ აირჩია ორი ქალაქის დამფასებელი კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ გ. მ. მერაბოვი და ბაგდასაროვი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ვარძიის მონასტერი** (ახალციხის მაზრა). 15 ამ თვეს დღეობა იყო ვარძიის ღვთის-მშობლის მიძინების ხატისა. უოველს წელს დიდძალი ხალხი დაიარება ხოლმე ამ დღეს სალოცავად, განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნობისა.

მაგრამ წელს-კი მიუხედავად იმისა, რომ მშვენიერი დარება იდგა, ხალხი მეტად მცირედი იყო მოსული სალოცავად. ახლო-მახლო სოფლელების გარდა აქ ვერავის შეჰხვდებოდით. მიზეზი ამისა ის იყო, რომ წელს მტკვარზედ ვარძიის მახლობლად ხიდი არ იყო და ბევრი მლოცველთაგანი უკანვე დაბრუნდა, რადგანაც ვერ გაბედეს ადიდებულ წყალში გასვლა ვერც ცხენითა და ვერც ფეხით. ვისაც უეჭველად უნდოდა ვარძიაში ასვლა, იმას უნდა მოევლო „დომანბეგის“ ხიდზედ, რომელიც მდ. მტკვარზედ ვარძიიდგან შვიდი ვერსის მანძილზედა სძევს და იქიდგან იმისთანა აღმართები აევლო ფეხით, რომ ადამიანს თავისი დაემართებოდა. დღეობის გათავების შემდგომ ზოგმა გზის შემოკლების გულისთვის და აღმართ-დაღმართის მოსარიდებლად, იქვე პირდაპირ წყალში გასვლა მოინდომა. მაგრამ ვაი ამ გასვლას. ბევრმა ამათგანმა იბანა წყალში სადღეობოთ მორთულ ტანისამოსით: ორი კაცი და ერთი ათის წლის ქალი ძლივს გადაარჩინეს დახრჩობას, ერთი ბერძნის მოხუცებული დედაკაცი-კი თითქმის ნახევარ ვერსზედ ატარა წყალმა და შენი მტერი, რომ იმის იღბალზედ სოფ. ცოხის-ჯვრის მცხოვრები ალექსი ივანოვი და სოფ. აფნიის გლეხი ლავრენტი დევნოსაძე არ შეჰხვედროდნენ, ის დედაკაცი გამოეთხოვებოდა საქაოს.

მართალია, დღეობის წინა დღეებში ბევრს ეცადნენ ხერთვისისა და დილისკის საზოგადოების მამასახლისები, რომ დროებითი ხიდი მაინც გაეკეთებინათ მტკვარზედ, მაგრამ მოდიდებულმა წყალმა ხელი შეუშალა. გასაკვირველია, რატომ აქამდის ყურადღება არ მიუქცევიათ და არც ახლა არ მიაქცევს, ვისაც ჯერ არს, ამ გარემოებას, მით უმეტეს, რომ ამ ხიდზედ არათუ მარტო მლოცველმა, უნდა იაროს, არამედ მთლად არდაგანის მხარემ, ახალციხის ნახევარმა მხარემა და აგრეთვე ახალქალაქის იმ თერთმეტმა სოფელმა, რომელთაც საზაფხულო საძოვარი ვარძიის ზემოდა აქვთ. ჩვენის აზრით, მონასტერთან ახლო მცხოვრებმა ხალხმა რომ მუშა გამოიმეტოს ხიდის გასაკეთებლად, ქვა მოზიდოს, ხოლო დანარჩენთ, ვისთვისაც უფრო საჭირო იქმნება ეს ხიდი, თითო აბაზი მაინც გადაიხადონ და ამას მივუმატოთ ის ხუთასი მანეთი, რომელიც მონასტერს შესწირა განსვენებულმა ეგნატე მიქელაძემ ხიდის გასაკეთებლად, ამ ნაირად ერთი მაგარი და სამუდამო ხიდი გაკეთდება. მაგრამ, ვაი რომ საქმეს, მოგეხსენებათ, მოთავე უნდა და ამ ხიდის ასაშენებლად-კი მოთავეობას ჯერ არავინა ჰფიქრობს.

მასწავლებელი ხერთვისის სკოლისა
გიგო შატბერაშვილი

## უცხოეთი

**ჩინეთი.** გაზეთ „Times“-ში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი. გაზეთი ჩინეთის საქმეებს ეხება და ამბობს, ინგლისმა არაფრის გულისათვის არ უნდა გაიყვანოს თავისი ჯარი პეკინიდგანაო. „რად უნდა გავიდეს ჩვენი ჯარი პეკინიდგან?— განაგრძობს გაზეთი.— იმისთვის ხომ არა, რომ ქვრივი იმპერატრიცა იმპერატორთან ერთად დიდის ამბითა და უშიშრად პეკინში დაბრუნდეს და შეუდგეს ძველ ბრძანებათა გამოცემას „უცხო-ქვეყნელ ქაჯების“ წინააღმდეგ? ან იქმნება იმისთვის, ჩინეთის ხალხი დარწმუნდეს, რომ მოკავშირეებმა-კი არა, მოკრივეებმა გაიმარჯვეს და განდევნეს მოკავშირეთა ჯარი. ჩინელი მანდარინები იმდენად უვიცნი არიან, რომ ჯარის გასვლას სულ სხვა

## ფელეტონი

### წერილები ინგლისიდგან

(საკუთარის თანამშრომლისაგან)

### XII

პატრიოტნიც საგონებელს მიეცნენ. თავში იყო და მოულოდნელად ბოლოში-კი მოჰყვა, კიდევ არა ჰგავს ინგლისურს. ხმები ბურების სრულიად ამოწყვეტისა და დედამიწის ზურგიდგან აღგვისა.

როდესაც ყურს უგდებთ ლაპარაკს კლუბებსა, კრებებსა და საჯარო ყრილობებზედ, ნება-უნებურად გაკვირვებთ ის ცვლილება, რომელიც ამ ბოლოს დროს მჟავე პატრიოტთა სიტყვების კილოსა და ხასიათს დაეტყო. ჰკვირობთ და ეკითხებით თავს, სად გაჰქრა წარსულ დღეთა აღვირ-აშვებულობა, თავ-გასულობა? სად გაჰქრა აპრილისა და მაისის უსაზღვრო მხიარულებანი ქუჩებში, მოედნებში? ყველას ჩვეულებრივ თავდაჭერილობის, ზრუნვა-ფიქრის ბეჭედი აზის... ასე გასინჯეთ, არსად სჩანან ყავახანათა პატრიოტნიც-კი, არსად ისმის მათი უაზრო ყვირილი, მათი ლანძღვაგინება ბოერებისა და საზოგადოდ უცხო-ქვეყნელთა მიმართ. ცვლილება მეტად დიდია; მაგრამ არც ამ ცვლილებათა გამომწვევი მიზეზია ნაკლები.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ინგლისი პირველობდა დედამიწაზედ: ჯერ ისევ ამ ერთის წლის წინად იგი თავში ედგა მთელ განათლებულ ქვეყანას ინდუსტრიით, კულტურით, ფინანსებით. ჯერ ისევ ამ ერთის წლის წინად სიმართლისა და ჭეშმარიტების იდეის დამტარებელი იყო; ამ ერთის წლის წინად პატარა სახელმწიფოთა და ერთა ნუგეშად და თავშესაფარად ითვლებოდა. და, აი, ეხლა მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ იგი ინდუსტრიასა და კულტურაში ჩამორჩა შეერთებულ შტატებსა, გერმანიასა, საფრანგეთსა და, ასე გასინჯეთ, პატარა ბელგიასა, შვეიცარიასა, შვეციასა და ნორვეგიასაც-კი (რასაკვირველია, მცხოვრებთა რაოდენობას თუ მივიღებთ მხედველობაში).

ინგლისმა, რომელიც აქამდის მთელის ქვეყნისათვის საკმაო ქვანახშირს ასაღებდა, წელს შეერთებულ შტატებზედ ნაკლები გაასაღა; იმისი ნახშირი უფრო მდარე აღმოჩნდა, ვიდრე შეერთებულ შტატებისა. სწორედ ამით აიხსნება ის გარამოება, რომ ლონდონელი მექარხნენი ამერიკიდგან შეუდგნენ ქვა-ნახშირის დაბარებას. პირველი 4000 ტონნი ქვა-ნახშირისა უკვე მოვიდა; შეკვეთილია ამას გარდა მილიონი ტონნი სხვაც. აი რა არის დამაფიქრებელი და დამაღონებელი... ინგლისურ ფოლადისა და რკინის მანქანებს მთელ დედა-მიწაზედ ჰქონდათ სახელი გავარდნილი; ეს მანქანები საუკეთესო მანქანებად ითვლებოდა; მაგრამ ეხლა პატარა შვეიცარია სხვისის რკინითა *) და ქვა-ნახშირით ინგლისურ მანქანაზედ უკეთესსაც ამზადებს და უფრო იაფადაცა ჰყიდის. შვეციისა და ნორვეგიის ფოლადის ნაწარმოები ხარისხით ბევრადა სჯობნის ინგლისის ასეთსავე ნაწარმოებს; შეერთებულ შტატების რესპუბლიკამ ხომ სულ დასჯობნა ინგლისი.

საუკეთესო იარაღი აქ ამერიკულია, კარგი და იაფი რკინა ამერიკიდგანაა მოტანილი (ხიდს ინგლისელებისათვის ნილოსზედ ამერიკელები აშენებენ); ამერიკიდგანაა აგრეთვე მოტანილი სამექანიკო იარაღიც, განსაკუთრებით ის, რაც ელექტრო-ტეხნიკაშია საჭირო.

ორი კვირაა, რაც სახალხო მატარებლებმა სიარული დაიწყეს მიწის ქვეშ გაყვანილ ცენტრალურ ელექტრონის რკინის გზაზედ ლონდონში. ეს გზა საუცხოვო რამ არის; იგი ამ მიმდინარე საუკუნის სამეცნიერო ტეხნიკის გვირგვინს შეადგენს. ორი გვირაბი 45 ფუტის სიღრმეზედ არის გაყვანილი სახლებ ქვეშ და გაჭიმულია 10 ვერსის მანძილზედ. ასაწევ-დასაწევი მანქანები, ბაქანები, საუცხოვო ვაგონები, ელექტრონული განათება ანცვიფრებს და აკვირვებს კაცს; აკვირვებს აქაც-კი, ამ მანქანათა და რკინის გზათა სამეფოში.—„არა ვფიქრობდი,—იმ სახელმწიფოს ტეხნიკა, სადაც ასეთ საკვირველ რამეებს აკეთებენ, ჯერ არ ჩამორჩენია სხვა ქვეყნების ტეხნიკასა მეთქი“. მაგრამ სოცრად გავკვირდი, როდესაც შევიტყე, რომ ვაგონები, მანქანები, განათება, ერთის სიტყვით ყველაფერი ამერიკულია! ყველა ეს გაკეთებული და დამზადებულია მოტანილი. განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ინგლისი ასეთსავე მანქანებს სხვა სახელმწიფოებს აწვდიდა?.. დიაღ, პრაქტიკის, გონება მახვილის კაცისათვის აქ ეხლა ბევრი რამაა დამაფიქრებელი და დამაღონებელი...

უფრო მეტად დამაფიქრებელია გერმანიის მეტოქობა ინდუსტრიასა, მრეწველობასა და ვაჭრობაში. უკვე კარგა ხანია, რაც შორს-მხედველი კაცები შიშითა და ძრწოლით შეჰყურებენ გერმანიის ჯერეთ ნორჩ მრეწველობის მეტოქობას, მრეწველობისა, რომელიც ესოდენ მდიდარია მაღალისა და საშუალო განათლებით აღჭურვილ ტეხნიკოსებით, მაშინ, როდესაც აქ, ინგლისში, სანთლითაც ვერ იპოვნით არამც თუ უმაღლეს, საშუალო სატეხნიკო სასწავლებლებსაც-კი.

ინგლისის დაქვეითება უფრო ნათლად პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ გამოირკვა, სადაც ინგლისი ყველაფერში უკანაა გერმანიასა, შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთზედ. თვით ინგლისის განყოფილების ბიუროც-კი დარცხვენილია საკუთარის სიღარიბისა და ჩამორჩენისათვის. საქმე იქამდის მივიდა, რომ ამ ბიურომა და იმისმა მთავარმა კომისარმა პოლკოვნიკმა ჟეკილიმ საერო სირცხვილის დასაფარავად ეშმაკობასა და თვალთ-მაქცობას მიჰმართეს.

მართლაცა და განა სამარცხვინო არ არის, რომ საერთაშორისო ჟურიმ (საქონლის ღირსების დამფასებელი საბჭო), რომელიც ჯილდოებს არიგებდა პარიჟის გამოფენაზედ, მეტად მცირედ დააჯილდოვა ინგლისელნი, თუმცა-კი სულითა და გულით იყო მოწადინებული იმათ დაჯილდოვებას განა სამარცხვინო არ არის, რომ ამ შემთხვევაში ინგლისი, არამც-თუ გერმანიასა, საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებსა, რუსეთსა და პატარა ბელგიასაც-კი ჩამორჩა? სირცხვილის თავიდგან ასაცილებლად მამაცმა პოლკოვნიკმა, რასაკვირველია, ჩემბერლენისა და სხვათა გაიძვერათა თანხმობით, გამოიგონა, ვითომ დედოფალის ვიქტორიას ქვეშევრდომთ არ შეუძლიანთ საკუთარის მთავრობის ნება-დაურთველად უცხო-ქვეყნის ჯილდოებისა და ორდენების მიღებაო. ნეტა ასეთის ოინ-

*) სატეხნიკო გაზეთები აცხადებენ, რომ ამ ბოლოს დროს შვეიცარიაშიაც აღმოჩნდა რკინის მადნებიო.

თვალით შეჰხედავენ, ივიქრებენ შეეშინდათ და წავიდნენო. მაშინვე შეუდგებიან მანდარინები ხალხში სხვა და სხვა უცნაურ ცნობების გავრცელებას, და იმათის წყალობით ხელ-ახლა მოხდება ის, რაც გუშინ და გუშინ წინ მოხდა. მანდარინები ეხლაც კი აღელვებენ და აჯანყებენ ხალხს სხვა და სხვა ტყუილებით. ჩვენ რაღათ უნდა მოვეხმაროთ ამ საქმეში და მხარი დაუჭიროთ მანდარინებს?“

— პეკინში, როგორც გაზეთები იუწყებიან, გერმანიის ელჩის კეტტელერის მკვლელი უპოვნიათ. მკვლელი ყველაფერში გამოტეხილა და უთქვამს პეკინის კამენდანტის ჩუნგის ბრძანებით ჩავიდინე ასეთი საქმეო. როგორც ამბობენ, პეკინში ამ ჩუნგის პროკლამაციაც უპოვნიათ. პროკლამაციაში კამენდანტს ჩუნგის პეკინის მცხოვრებლებისათვის მიუმართავს და უთქვამს, ვინც უცხო-ქვეყნელს მოჰკლავს, ის ჯილდოს მიიღებს მთავრობისაგანაო. უპოვნიათ აგრეთვე დაწვრილებით სიები იმისა, სად რამდენი ქრისტიანი იქმნა მოკლული.

— „Morning Post“-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ორ სახელმწიფოს უთხოვნია სალისბიურისათვის, ჩინეთის საბაჟოების გამგე რობერტ ჰარტი დანიშნოს საერთა-შორისო რწმუნებულად ჩინეთის წარმომადგენლებთან ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად და საზოგადოდ ჩინეთის საქმეების მოსაწყობად. კორესპონდენტი უმატებს, რომ შეერთებულის შტატების მთავრობაც თანახმა იქმნება რობერტ ჰარტის დანიშვნისაო.

— მოძრაობა სამხრეთ ჩინეთის პროვინციებში, განსაკუთრებით-კი ფუ-ძიანში, თან და თან ძლიერდება. ამის გამო გაზეთების სიტყვით ტაკუდგან გონკონგში ინგლისის ორი სამხედრო გემი იქმნა გაგზავნილი. გონკონგი ჩინელებს ძალიან კარგადა აქვთ გამაგრებული: აქვთ იქ თოფ-ხანა, საადმირალო, მანქანების მკეთებელი ქარხანა და სხვა.

— როგორც ჩინეთიდგან გამოგზავნილი დეპეშები იუწყებიან, მოკრივენი სასტიკად სტანჯავენ თურმე იმ ჩინელებს, რომელნიც მოკავშირეთა რაზმს დაემორჩილნენ. მატოფში მოკრივეებმა გაანადგურეს სატელეგრაფო ბოძები და მავთულები. სხვაგანაც არ ისვენებენ მოკრივენი და ათას უწესოებას სჩადიან.

— „ლაფანის სააგენტოს“ ვაშინგტონიდგან ატყობინებენ: „თუ სახელმწიფონი ვერ შეთანხმდებიან რუსეთის წინადადების გამო, მაშინ შეერთებული შტატები თავისით შეუდგება მოლაპარაკებას ლი-ხუნგ ჩანგთან და მოითხოვს სამხედრო ჯილდოს. ამერიკა იმ აზრისაა, რომ სახელმწიფონი გამგებ აწიანურებენ საქმეს და პასუხს არ იძლევიან რუსეთის წინადადებაზედაო“.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრეპილი ამბები)

ამას წინად გეიდელბერგის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტი დაამთავრა ელისაბედ რიხტჰოფენმა. რიხტჰოფენმა საპოლიტიკო ეკონომიის დოქტორ ი სწოდება მიიღო. ამ ჟამად რიხტჰოფენი 25 წლის ქალია. პოლიტიკური ეკონომია მან ბერლინსა და გეიდელბერგის უნივერსიტეტში შეისწავლა. სწავლის გათავებისათანავე რიხტჰოფენი დანიშნეს საქარხნო ინსპექტორად კალსრუეში.

* * *

გველისა და გარეულის ნადირისაგან არსად არა აქვს კაცს იმდენი ზარალი, რამდენიც ინდოეთში. ისე წელიწადი როგორ გავა, რომ გველმა და ნადირმა იქ რამდენიმე ათასი კაცი არ იმსხვერპლოს. ამის შესახებ საყურადღებო ცნობებია მოთავსებული ინდოეთის მთავრობის ანგარიშში. როგორც ამ ანგარიშიდგანა სჩანს, მაგალითად მარტო 1898 წელს შხამიანის გველისა და ნადირისაგან 25,166 კაცი დაღუპულა. ამავე წლის განმავლობაში მონადირეებს მოუკლავთ 19,776 კაცის მჭამელი ნადირი და 108,385 შხამიანი გველი, რისათვისაც ინდოეთის მთავრობისაგან ჯილდოდ მიულიათ 110,000 მანეთი. უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში, 1888—1898 წლ., მთავრობას 167,441 ნადირისა და 1,947,708 შხამიანის გველის მოკვლისათვის გაუცია სულ 1 მილიონ მანეთამდე. ამისდა მიუხედავად მავნე ნადირთა და შხამიან გველთა რიცხვი იმდენად დიდია ინდოეთში, რომ იმათგან დაღუპილ კაცთა რიცხვი არა კლებულობს. ყველაზედ საშიში ადამიანისათვის ინდოეთში ეგრედ წოდებული გველი „Cobra di Capolla“-აა. მარტო ამ ერთის ჯიშის გველმა 1898 წ. 21,601 კაცი გამოასალმა წუთი-სოფელს. ვეფხვისაგან 927 კაცი დაიღუპა, ლეოპარდისაგან—394, მგლისაგან— 462 კაცი.

* * *

როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ამას წინად გერმანიაში გარდაიცვალა დიდად ცნობილი ფილოსოფოსი ნიცშე. ფილოსოფოსი ეს ათი წელიწადია სულით ავადმყოფი იყო და განმარტოებით სცხოვრობდა. ნიცშეს დარჩენია მრავალი ხელთნაწერი სხვათა შორის 51 რვეული ფილოსოფიურის ნაწარმოებით, 64 რვეული შენიშვნებითა და პროექტებით სავსე და 157 რვეულიც სხვა, რომლებშიაც ზოგი თხზულება დამთავრებულია და ზოგიც დაუმთავრებელი.

* * *

ნემენცურ გაზეთებში დაბეჭდილია გერმანიის რეიხსტაგის იმ ორატორთა გვარები, რომელთაც უკანასკნელ საპარლამენტო სესსიის დროს ყველაზედ მეტი სიტყვები წარმოუთქვამთ. ამ შემთხვევაში პირველობა დეპუტატს ზინგერს ეკუთვნის, რომელსაც პარლამენტში 191 სიტყვა წარმოუთქვამს, შემდეგ ევგენი რიხტერს—141 სიტყვა, ბებელს—136 და მიულერს—154 სიტყვა. დანაჩენ ორატორთა შორის 100-ზედ მეტი სიტყვა წარმოუთქვამთ მოლკენბურგს, შტადტჰარტენს, რეზიკეს, შტუმს, პააშესა და გიტის.

* * *

ამას წინად პტი დე-ჟიულვილმა ერთ ფრანგულ გაზეთში საყურადღებო ცნობები დაჰბეჭდა პარიჟის უნივერსიტეტის შესახებ. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, 1896 წელს პარიჟის უნივერსიტეტში 14,654 სტუდენტი ყოფილა; მაგრამ ამის შემდეგ სტუდენტთა რიცხვს დაუკლია, ასე რომ ეხლა იქ მხოლოდ 13,771 კაცია. ავტორის აზრით ეს მოვლენა აიხსნება იმით რომ ახალგაზდანი ამ ბოლოს დროს უფრო სატეხნიკო, სპეციალურ განათლებას ეტანებიან, ვიდრე საზოგადო განათლებასაო. მაგრამ ასე რომ იყოს, მაშინ საფრანგეთის სხვა უნივერსიტეტებსაც მოაკლდებოდა სტუდენტობა. ნამდვილად-კი ამ უნივერსიტეტებს უფრო ემატება. მიზეზი ის არის, რომ 1895 წლის საუნივერსიტეტო რეფორმის შემდეგ ახალგაზდანი პროვინციის უნივერსიტეტებში უფრო შედიან, ვიდრე პარიჟისაში. შემდეგ ავტორს თავისს წერილში ჩამოთვლილი აქვს იმათი გვარები, ვისაც პარიჟის უნივერსიტეტისათვის ფული შეუწირია. ყველაზედ მეტი ბიტოფსჰეიმს შეუწირია—ნიცაში არსებული მშვენიერი ობსერვატორია და 2 ნახევარი მილიონი ფრანკიც ფულად.

## ქართულის ენის საუნჯის მასალად

ეს სიტყვები გაგონილი მაქვს რაჭასა, ზემო-იმერეთსა და ზემო-ქართლში და ისეა ახსნილი, როგორც ხალხში გამიგონია. რათა ხელ-მეორედ არ გამემეორებინა უკვე ცნობილი სიტყვები, გადავათვალიერე ს. ორბელიანის, დ. ჩუბინაშვილის, რ. ერისთავის, კ. ყიფიანის, თ. სახოკიასი და კ. ბაღაშვილის ლექსიკონები და დავტოვე მხოლოდ ის სიტყვები, რომელიც იქ არ აღმოჩნდა. მაქვს ორიოდე სიტყვა, ლექსიკონებში უკვე შეტანილი, მხოლოდ სულ სხვა მნიშვნელობით არის ნახმარი.

ა.

ავლახა—ურმის პალების შესაკრავი წნელია.

ახნაურა—ურმის ფრჩხილების შესაკრავი წნელი.

ამოლანგვა—ამოთხუპნა, ამოსვრა.

ანჩახი—უნაგირი (ჩერქეზული).

აინონი (აინუნი)—აზრი, ფიქრი (მაგ. აინუნშიაც არ მომსვლია—აზრადაც არ გამიტარებია).

აქნა—ასო-ასოდ დაჭრა.

ატრუვება—დაჟინება, ატეხა, ატყდომა.

აჭირო—მსხვილი და ტკბილი მსხალია, ადრე მწიფდება.

ბ.

ბაზი—ხმელი (მაგ. სიმინდი დაბაზდაო).

ბაიბური—ჩამი-ჩუმი, მცირე ხმაურობა.

ბაჟე—მკვახე (მაგ. ლეღვი).

ბაყი-ბუყი—ცემა (რაიმე გულ-გამოფულრულზედ).

ბაჩა—ცხენი, რომელსაც ძუა-ფაფარი აქვს გაკრეჭილი.

ბაჩაჩუყი—პატარა ბავშვის შესახებ იტყვიან მოფერებით, თუ მსუქანია და დაბალის ტანისა.

ბაცი—ღია ფერი.

ბახი—უვარგი ცხენი (ოსურად ბახ—ცხენია) (იმერ.)

ბეკეკა—თხა (მოფერებით).

ბეკენწალი—უხეირო ძროხა.

ბელიში—ხეზედ ანახეთქი დიდი ნაფლეთი.

ბიაბანი—ვრცელი და გაშლილი ადგილი.

ბიბა—ქესა, ბობრი (მხოლოდ უფრო თეთრის ბალნის მქონე).

ბიგა—ხის ნაჭერი, რისთვისმე გასამაგრებლად შეყენებული.

ბოიბალი—ქართულის უნაგირის სამკაულია.

ბოიდაღი—ლოთი და გარყვნილი კაცი.

ბოთე—უგუნური და ზანტი კაცი

ბორეა—ქართულის უნაგირის გადასაფარებელი ქსოვილი, ან ნაკერი ტყავი.

ბორიო—უთავბოლო კაცი.

ბრელო—სიმინდის მარცვლის კანი, რომელიც ცეხვის დროს შორდება.

ბოღმა—გულის ჯავრი (ქართ.)

ბროწი—მუქი წითელი (მაგ. თხილი რომ დამწიფდება, კანი გაუწითლდება—დაბროწდება).

ბრაწვა—შეწვა (მოხრაკვა), ისე რომ გაწითლდეს.

ბუბლი—პატარა და გამხდარი პირუტყვი.

ბუზუნბლო—ჩონჩხი მტევნისა, უმარცვლოდ.

ბუყ-ბუყი—ხმა, რომელსაც იღებს პურპელი წყლით ავსების დროს, თუ წყალი ფარავს.

გ

გალავიწება—ყბაში ხელის შემოკვრა.

გამორჩნა—მეტის ფოთოლ-ტოტების მოშორება მცენარისაგან.

გაოგნება—გაყეყეჩება, გალენჩება.

გაღოჯვა—მცენარის თესლი რომ პირველად ფესვებს (ღოჯებს) გაიდგამს, იმას ჰქვიან.

გახიდურება—ორ დაშორებულ საგანზედ მესამის გადება ხიდივით.

გეზი—მოხერხებული, მარჯვე ადგილი სათვალყუროდ (გეზად დგომა).

გეჯაჯი—მუნი თუ გაძნელდა, გ. გადიქცევა; ტყავი დაუსკდება პირუტყვს და ჩირქი სდის.

გვერგვი—წნელისაგან დახვეული გრგოლი.

გვრიჭი—ბურთივით დახვეული ძაფი.

ბაზობით ვინ უნდა მოატყუონ?

განა რუსეთსა, საფრანგეთსა და სხვა სახელმწიფოში-კი საჭირო არ არის უმაღლესის ნება-რთვის აღება უცხო-ქვეყნის საჩუქრებისა და ორდენების მისაღებად? რაღა სხვაგან, განა თვით ინგლისში ასეთი კანონი გუშინდლიდგან არსებობს? რა მიზეზი იყო, რომ 1869, 1878, 1889 წლების მსოფლიო გამოფენათა დროს დიდის ამბით აცხადებდნენ იმ ინგლისელ ექსპონენტთა სახელებს, რომელნიც იმავე პარიჟში იქმნენ დაჯილდოვებული? არა, ეს მხოლოდ ხრიკებია სხვათა თვალის ასახვევად, თავიანთ დამარცხების დასაფარავად მოკონებული. როგორც ტრანსვაალში ამ თერთმეტის თვის განმავლობაში ინგლისის მამაც და სწავლულ პოლკოვნიკებსა და გენერლებს თავ-ბედს აწყევლინებს და გზაკვალს უბნევს მთიელ ვაჟკაცთა მცირე გუნდი, ისე მამაცის პოლკოვნიკის წინამძღოლობით სამსოფლიო მოედანზედ გამოსული ჩასუქებული მრეწველნი ინგლისისა შეარცხვინეს და დაამცირეს ყოფილმა მოსწავლეებმა და მიმბაძველებმა: ნემენცებმა, ამერიკელებმა, რუსებმა და სხვათ. ამ უსიამოვნო მოვლენას ვერავითარის ხრიკებითა და თვალთ-მაქცობით ვერ ჩაჩქმალავენ მამაცნი ჟეკილები და ჩემბერლენები. ბევრი, ძალიან ბევრი რამაა დამაფიქრებელი პრაქტიკისა და გონება-მახვილის კაცებისათვის.

დიდად დამაფიქრებელია აწინდელი სამარცხვინო ომიც, ძალ-მომრეობისა და მტაცებლობის შედეგი. ინგლისი ამ ომის წყალობით ჩინეთში დღეს მეორე ხარისხოვან როლს თამაშობს, მან დაჰკარგა ჰუმანიურ სახელმწიფოს სახელი; იმპერიალიზმისა და მტაცებლობის პოლიტიკის მეოხებით გადაიმტერა მთელი კაცობრიობა;—ესეც საკმაოა ზრუნვა-ფიქრისათვის, მაგრამ ყველა ამას გარდა, ინგლისმა იმ აუარებელ ხარჯისთვისაც უნდა იზრუნოს, რომელიც ომის გამო მოუვიდა.

გულ-უბრყვილო კაცებიც-კი, რომელნიც ბოერების დამარცხების გამო ქუჩის პრესსასა და ჯავა-ხანის პატრიოტებთან ერთად სიხარულს ეძლეოდნენ, დღეს კარგადა ჰხედავენ, რომ ომს დასასრული არ უჩანს, რომ იგი ერს ჩვეულებრივ ხარჯს გარდა ერთ მილლიარდ მანეთად დაუჯდა. ხუმრობა საქმეა ერთი მილლიარდი მანეთი! ამდენი ხომ საფრანგეთ-პრუსიის ომიც არ დამჯდარა! მერე არ იკითხავთ ერთი, რისათვის დასჭირდა ინგლისს ბოერები? გინდაც რომ დაიპყრონ ტრანსვაალი, იმის შემოსავლიდგან ამ აუარებელ ხარჯს ვერასოდეს ვერ დაჰფარავენ. ბირჟა და სიტი თან-და თან ჰგრძნობენ ამას. საძირკველი ეთხრება ნელ-ნელა მთავრობის კრედიტსაც. ბანკირები ამბობენ, რომ ხელის მოწერას ველარ გავმართავთ 3%-იან სამხედრო სესხზედაო. ისინი ეხლა $4^{1}/_{2}$% თხოულობენ.

ამასთან ერთად ყველაფერი ძვირდება; უკვე მოემატა ფასი გაზს, ქვა ნახშირს, შეშას, ხორცს; ჰფიქრობენ, რომ მალე პურსაც მოემატებაო. აზრადა აქვთ გაადიდონ უკვე ერთხელ გადიდებული შემოსავალის კვალობაზედ გაწერილი გარდასახადი. სამწუხარო ისაა, რომ ამ გარდასახადისაგან მდიდრები არაფერს არა ჰკარგავენ, იმათ ჯიბიდგან არაფერი არ ამოდის. როდესაც, მაგალითად, სახლის პატრონებს მოუმატეს გარდასახადი, მდგმურები ჩაცვივდნენ გაჭირვებაში, იმათ მოუხდათ მეტის ფულის გაღება.

განათლებულის კაცობრიობის გადამტერება, ცხოვრების გაძვირება, კრედიტის გაძნელება, სახელის დაკარგვა, საკუთარის ინტერესების დაქვეითება ჩინეთში,—აი, რა შესძინა ინგლისს სალისბიურ-ჩემბერლენის სამინისტრომ... ეს სამინისტრო ჰფიქრობდა, ორს თვეში მცირე რაზმით მიწასთან გავასწორებთ ორს პატარა რესპუბლიკასაო. ნამდვილად კი 11 თვის განმავლობაში მთელმა ინგლისის ჯარმა მტრის მიწა-ადგილის მესამედის დაჭერაც ძლივს შესძლო, ხოლო დასასრული ომს მაინც არ უჩანს- ყოველ დღე ომისათვის ინგლისს 3 მილიონი მანეთი უნდება. ბოერებმა კარგად უწყიან, რომ ომის გაჭიანურებით ფინანსებს უქრობენ ინგლისს, უკარგავენ ძლიერის პოლიტიკურის სახელმწიფოს სახელს და სწორედ ამიტომ მეცადინეობას არა ჰკარგავენ.

ძველი ანდაზა ამბობს: „ვის დასჯასაც ზევსი მოისურვებს, იმას გონებას წაართმევსო“. ინგლისელები, ე. ი. კონსერვატორთა და კაპიტალისტთა მთავრობა უთუოდ ზევსმა დასაჯა, თორემ განა ჭკუათა მყოფელი ხალხი ასეთს საქმეს ჩაიდენდა? ერთ მილიარდ ასს-ოცი-ათასს მანეთად ინგლისელებს ხომ მთელი ტრანსვაალის უომრად, მშვიდობიანად დაჭერა შეეძლოთ! ამისათვის საკმაო იყო თავისივე კაცების დასახლება იქ. ამ ფულით 500,000 ოჯახს, ე. ი. ერთ-ნახევარ მილიარდ კაცს გაჰგზავნიდნენ იქ, თითოსთვის რომ 2500 მანეთი მიეცათ! აი მაშინ ყველა იტყოდა, რომ ინგლისელებმა ინგლისურად გააკეთეს საქმეო: მაშინ რესპუბლიკაც გამდიდრდებოდა, და კრიუგერი და იმისი მეკობრებიც ქედს მოიხრიდნენ მონობის განმაახლებელთა როდსებისა, ბეიტებისა და ჩემბერლენების წინაშე კი არა, მშრომელის, ჯანმრთელის და კულტურულ ხალხის უფლებათა და მოთხოვნილებათა წინაშე... ამას თან და თან თვით „პატრიოტნიცა“ ჰგრძნობენ. სალისბიურისა და კონსერვატიულ არისტოკრატთა გაზეთ „Standard“-შიაც-კი დაიბეჭდა რამდენიმე მოწინავე წერილი, პესსიმიზმითა და მწარე ფიქრებით აღსავსე. ხოლო კოსერვატიულმავე „S. James's Gazette“-მ, სასოწარკვეთილებისაგან გზა-კვალ დაბნეულმა, მოითხოვა ბოერების დიდით პატარამდე კუნძულ ბორნეოზედ გადასახლება და უმოწყალოდ ამოწყვეტა იმათი, ვინც კიდევ გაჰბედავს და სამშობლოს დასაცველად იარაღს ხელში აიღებს, ამოწყვეტა იმათის ცოლ-შვილისა, ნათესავთა, მოხუცთა და ბავშვთა.

ამ სიტყვებში-კი სასოწარკვეთილების გარდა, დაკოდილ მხეცის ბრაზ-მორეული ხმაც მოისმის. ინგლისელებს ვერ უშველით ამ გვარი ბარბაროსული მოწოდება და ისეთის უდანაშაულო კაცების დახვრეტა, როგორიც კორდუა იყო: ვერ ასცდებიან ისინი ვერც სახელის დაკარგვას, ვერც ფინანსების შერყევას და ვერც სიდუხჭირეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ყველა ამისაგან ინგლისს ერთად-ერთი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოძრაობა დაიხსნის. ხოლო კულტურისა და ცივილიზაციის მოყვარულთა სასიხარულოთ უნდა ვსთქვათ, რომ ინგლისის საზოგადოება ამ ბოლოს დროს დიდს ფიქრსა და საგონებელს ეძლევა.

ვ. მარველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვრემა—არევ-დარევა, მუცლის ტკივილი.

ზონჯა—თუ ზაფხულში გვალვაა და ნათესები დაზარალდა, ბავშვები და ქალები ფეხშიშველა დადიან სოფლად სიმღერით, რომლითაც ღმერთს ევედრებიან წვიმის მოყვანას; ყოველი მოსახლე შეძლების დაგვარად აჩუქრებს მათ და თანაც ფეხზედ წყალს მიასხამს (იმერ.)

ზორაძირი—გორა, რომელსაც წვეროზედ ვაკე აქვს (რუს. პლოსკოგორიე); (თ. სახოკია ზეგანს უწოდებს).

ნ. ა.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 სექტემბერი

**კაპშტადტი.** კრიუგერი აცხადებს, რომ რობერტსის უკანასკნელი მოწოდება საფუძველს მოკლებულია. რესპუბლიკები ჯერ დაპყრობილი არ არის და ურს არიან დაექვემდებარნენ ინგლისის მბრძანებლობას, რადგან დიდმა სახელმწიფოებმა ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა აღიარესო.

**ლორენცო-მარკეზე.** კრიუგერის ცოლი და მრავალი ბური ცოლშვილით დელაგოას ყურეში მოვიდნენ.

**ჰააგა.** ჰოლანდიის მთავრობამ დეპეშით მიანდო თავისს ლორენცო-მარკეზელს ელჩს, აცნობეთ კრიუგერს, რომ თუ ჰოლანდიაში მისვლა უნდა, მის განკარგულებაში იქმნება სამხედრო გემიო. გემს ლორენცო მარკეზეში შეუძლიან მისვლა ხუთის-ექვსის დღის შემდეგ.

**პეკინი.** ის ჩინელი, რომელმაც კეტტელერი მოჰკლა, თოფით დახვრიტეს.

**ტიან-ძინი.** ტიან-ძინში გაგზავნილი ექსპედიცია ისე დაბრუნდა, რომ წინააღმდეგობა მისთვის არავის გაუწევია. ამერიკის ქვეითა ჯარის რაზმს სასტიკი ბრძოლა ჰქონდა „დიდის მუშტის“ 2,000 კაცთან მატოუს ახლოს. რაზმს ბენგალიის ულანები მიეშველნენ და იმათ დაჰფანტეს და 2,000 „დიდის მუშტის“ მომხრე (?) დახოცეს.

ამერიკის სადიპლომატიო წარმომადგენელი როკგილლი 2 სექტემბერს წავიდა ტიან-ძინიდგან პეკინს.

**შანჰაი.** წასვლის წინად ლიხუნგჩანგმა დეპეშით სახსოვარი ბარათი გაუგზავნა ტახტს, რომელშიაც ბრალსა სდებს პრინცს ტუანსა, იმისს ძმას ცზაილანსა, კანიასა და ჩჟუჩჟუიაოს. ბარათის ქვეშ მან მოაწერა სახელები აგრეთვე ნანკინისა და ვუჩანის ვიცე-კოროლებისა და იუანშიკაიასი, ისე რომ დროს უქონლობისა გამო არცკი დაეკითხა ამ თავითვე იმათ. ნანკინის ვიცე-კოროლმა მოუწონა ლიხუნგ-ჩანგს მოქმედება, ვუჩანისამკი წინააღმდეგობა განაცხადა.

ამერიკის კომისსარმა როკგილლმა დაარწმუნა ლიხუნ-ჩანგი, რომ უსარგებლო იქმნება ჩინეთის საქმის განხილვა, თუ გამორიცხულ იქმნება საკითხი იმპერატრიცას პირველ ვეზირის დასჯის შესახებაო.

**შანჰაი.** როგორც გერმანიის ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, 29 აგვისტოს ლიანი დაუპყრია და დაუწვავს გერმანიის საზღვაო ბატალიონს; 40 ბენგალიის ულანი გერმანიის ჯარს შეუერთდა. „დიდის მუშტის“ 500 კაცი მოკლულ იქმნა; ლიანში მყოფმა ასმა ჯარის-კაცმა ადრევე მოასწრო გაქცევა.

**ვაშინგტონი.** ჩაფიმ მიწერილობა მიიღო, რომ არავითარს იქეთს გარდაწყვეტილებას არ დასთანხმდეს პეკინის შესახებ, რომელი მდგომარეობაც ამერიკის მისსიების მფარველობის ქვეშ მყოფს ქრისტიანებს უზრუნველ არა ჰყოფს.

**შანჰაი.** გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს უცნობებია ვითომ ლიხუნგ-ჩანგისათვის ბერლინში მყოფ ჩინელ ელჩის პირით, რომ ლიმ თავისი რწმუნების გრამოტები შანჰაიში მყოფს გერმანიის ელჩს მუმმს უნდა წარუდგინოს და ეს მერმე იმპერატორს გაუგზავნის და დაუცდის, იქიდგან რა პასუხს მიიღებსო. ამბობენ, ლაპარაკის დროს მუმმა სთქვა, ჩინეთი მოლაპარაკებას მხოლოდ იმიტომ აგვიანებს, რომ სახელმწიფოთა შორის უთანხმოება ჩამოაგდოსო. მუმმა დაუმატა, გერმანიის ჯარი ყველაფრით მომზადებულია იმ დრომდე დარჩეს ჩინეთში, ვიდრე საქმე საკეთილოდ გადასწყდებაო. ლიხუნგჩანგმა ამის გამო დეპეშით აცნობა იუნლუს, იხმაროს ყოველი საშუალება, რათა დაარწმუნოს იმპერატორი და იმპერატრიცა პეკინში დაბრუნდნენ, ხოლო პრინცი ტუანი სხვაგან გაჰგზავნონ.

**პეკინი.** იაპონიის საელჩოში საეჭვოდ მიაჩნიათ, რომ ის კაცი, რომელიც კეტტელერის მკვლელობაში გამოტყდა, მართლა მკვლელი იყოს. ჰფიქრობენ, იგი მოსყიდულია იმათგან, რომელთაც უნდათ, რომ ეჭვი პრინც ჩინზედ მიიტანონ, რომელსაც იაპონელები მფარველობას უწევენ.

5 სექტემბერი.

**კრადოკი.** დაბა შვეიცერ-სენნეკის გარნიზონს, ბლუმგოფიდგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ორი კვირაა ბურები გარს არტყიან; შვეიცერ-სენნეკი ირგვლივ თხრილებით არის გამაგრებული და საგზალიც საკმაოდა აქვს. ფრეიბურგიდგან ჯარის-კაცთა რაზმი წავიდა გარნიზონის განსათავისუფლებლად.

**ვაშინგტონი.** ვუტინფანმა პეკინიდგან პრინცის ცინისაგან დეპეშა მიიღო, რომელშიაც იგი ატყობინებს, რომ სრული მონდობილობა მივიღე ლიხუნგ-ჩანგთან ერთად მშვიდობიანი მოლაპარაკება დავიწყოო; ცინი ავალებს ვუტინფანს, რომ შეერთებულმა შტატებმა მიწერილობა გაუგზავნოს ელჩს კონჯერს მოლაპარაკება დაიწყოს.

**ლონდონი.** დედოფალმა ბრძანებას ხელი მოაწერა, რომ პარლამენტი 18 იქმნეს დათხოვნილი; ამავე დღეს გამოაქვეყნებენ ბრძანებას რომ ახალი პარლამენტი 19 იანვრისათვის იქმნეს მოწვეული.

**ლორენცო მარკეზე** კააპმუნიდენთან ბურებმა ხიდი დაანგრიეს; პორტუგალიის რკინის გზის მმართველობა საზღვარზედ გადასაგზავნელს საქონელს აღარ იღებს.

**პარიჟი.** მინისტრი ვიტტე პეტერბურგს წავიდა.

## წერილი რედაქციის მიმართ

ულრმესს მადლობას ვუცხადებთ ბ-ნს ტიმოთე პეტრეს ძე გეგეჭკორს, რომელმაც კეთილ-ინება და ქ. ბათუმში თავისს ნაცნობ-ამხანაგთა შორის მარტვილის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ შეაგროვა და გადმომცა ორმოც-და-ორი მანეთი და ორი აბაზი (42 მ. და 40 კ.) და ამასთანავე 143 ცალი წიგნი. მადლობას ვუცხადებთ აგრეთვე ყველა იმათ, რომელთაც ამ კეთილ საქმისათვის არ დაიშურეს თავიანთი წვლილი და ხსენებულ სამკითხველოს შემდეგის არსებობისათვის სული ჩაუდგეს.

აი სია შემომწირველთა: ტიმოთე პეტრეს ძე გეგეჭკორმა 5 მან. და 12 ცალი წიგნი, დიმიტრი სტეფანეს ძე სიგუამ 5 მ. და 4 ცალი წიგნი, იორდანე ნიკოლოზის ძე გვალიამ 3 მან., გ. ყ. ტუსქიამ 1 მან., ნ. ტ. გაბუნიამ 1 მან. და 16 ცალი წიგნი, ზ. გ. მელიამ, მ. პ, გვალიამ, პ. მ. ქალაგანიძემ, ლ. კ. წოწორიამ, მ. ზ. წოწორიამ, თ. გ. ჯიქიამ, თ. დ. გეგეჭკორმა, ი. ბ. გეგეჭკორმა, ს. ფ ზარქუამ, თ. ვ. ზარქუამ, კ. ი. კვესელავამ და ნ. ს. ციცხვაიამ თითო მანეთი; ა. ხიჯაიამ, ი. გაბუჩიამ, გ. გაბუჩიამ. პ. ჭვარამიამ, ე. ხორავამ, დ. გუჯაბიძემ, ლ. მელიამ, ს. ცინცაძემ, ს. ფირცხალავამ, ს. ცაგურიამ, ბ. წიქარიძემ, ნ. იმედაშვილმა, ა. გითოლენდიამ, ბ. დოჭვირმა, დ. თადუმაძემ და ა. გრუდზინსკიმ ათ-ათი შაური; მ. ახალაძემ, ბ. სიყუამა და ს. კვესელავამ ორ-ორი აბაზი; ს. ალანიამ, ი. პაიჭაძემ, ფ. ანდღულაძემ და ს. ხორავამ ექვს-ექვსი შაური და ანდღულაძემ 2 ც. წიგნი; მ. ქაჯაიამ, მ. კიხაძემ, ს. ბაკურიამ, კ. სიგუამ, პ. ნუცუბიძემ, ს. ფაინშტენმა, ლ. იმედაიშვილმა და ლ. გუგუშვილმა ხუთ-ხუთი შაური; ს. ფაჩულიამ, ა. ხუნდაძემ, ვ. ნადარეიშვილმა, ვ. შალიკოვსკიმ, გ. მაიხაძემ, ს. კვესელავამ, ს. ფიცაციამ, თ. ნინიძემ, ო. გაბედავამ, ვ. ლაბარტყავამ, მ. ანთალავამ, გ. დუნდუამ, ი. ჯანელიძემ, ლ. ბარამიძემ და გ. ჩიმაგაძემ თითო აბაზი; ვ. გ. შარამენკომ 80 ცალი წიგნი, კ. დ. კოზაჩენკომ 10 ც. წიგნი, პ. ს. თოფურიამ 16 ც. წიგნი და ი. პ. კონსლინსკიმ 3 ც. წიგნი, ხოლო სულ 42 მ. 40 კ. და 143 ც. წიგნი.

გამგე მარტვილის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი ლიუბოვ გაწერელიასი

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული.

**პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:**

9 სექტემბერს

მიხეილ სიჭინავასი. ყაჩაღობა ბრალდება.

გიორგი მდივნისა, ალექსანდრე სოლომონის ძის კიკნაძისა, ვანო და მალაქია ჭანტურიძის და სხ. სიყალბის ჩადენა ბრალდებათ.

12 სექტემბერს

ივანე დავითის ძის სარაჯაშვილისა და ალექსანდრე მარკოზაშვილისა, რომელთაც სასჯელ. დებ. მე 996 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენა ბრალდებათ.

კაცია ციციბავასი, რომელსაც სასჯ. დებ. მე 1647 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

**ტფილისის სამოსამართლო დეპარტამენტის მეორე სისხლის სამართლის განყოფილებაში:**

11 სექტემბერს

თავ. შიხი ტუსიშვილისა, ნიკ. ბარათაშვილისა, ოსიტაშვილისა და ტერ-შმოვანოვისა, რომელთაც გაბაშვილის მკვლელობა ბრალდებათ.

**ტფილისის ოლქის სასამართლოში:**

6 სექტემბერს

ნადვორნი სოვეტნიკის მეუღლის ელისაბედ ყურულისა, რომელსაც ნატალია მიხეილიძის ასულის წვალება ბრალდება.

# განცხადებანი

## ქალების პროგიმნაზია

ელენე ბახტაძისა

## დ. ხონში

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ პირველ პროგიმნაზიულ და აგრეთვე წელს გახსნილ მეორე პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდგან და გაგრძელდება მთელ წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის—ელენე ბახტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მანეთია წელიწადში. (5—4)

მიხეილ ალექსანდრეს-ძე

## ნასიძე

**15 ივლისიდამ ამა წლისა იცხოვრებს მუდმივად ქ. სიღნაღში.**

შეუდგენს მსურველთ ყველანაირ ქაღალდებს და დაიცავს სისხლის სამართალში მიცემულ პირთ სასამართლოებში.

მთხოვნელებს მიიღებს დილით 8 საათიდამ 12 მდე და საღამოობით 5—7-მდე (30—უ.—21)

## წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლისაგან

პირველ სექტემბრიდამ პირველ ოქტობრამდე ამა წლისა წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მმართველს, ანუ მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს (ნოტარიუსი ქალაქ ტფილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდგან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული ამოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება. მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენ განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს; 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მ ....ლე გეოგრაფია რუსეთისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა მოშენება, მეფუტკრეობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და ჩილინგრობისა (ლესაობისა).

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედმამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დ ხუროს.

შორის მხრიდგან მოსულ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვარიანთკარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია თვეში შვიდი მანეთი. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით და სწავლის შემდეგ სადილი, ორი კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ ყმაწვილებს საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც სურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს წინათ მთელი წლის შესანახი ფული 84 მანეთი; უკეთუ შეგირდი წლის შესრულებამდე სადგურიდგან გავიდა, მაშინ ეს ფული უკან იმათ დედ მამას აღარ დაუბრუნდებათ და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგები, ექვსი ხელი საცვალი, პირსახოცები, ბალიშის პირები, ზეწრები და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო.

გამოვიდა ახალი წიგნები:

ა) **უკვდავთა ლ ლადებანი**

ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.

ბ) **ქართული მწერლობა მე X საუკუნემდე**, ფასი 40 კაპ.

გ) **Царица Тамара**, ფასი 50 კ.

დ) **Груз. обители внѣ Грузіи**, ფ 25 კ.

ე) **Истор. груз. церкви**, ფ. 40 კ.

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

## ჰიგიენური

ბორნო-ცვიმოლის საპონი

პროვიზორის

## გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—22)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 го Сентября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე